

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №49
2013 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ბათუმის, ხელვაჩაურისა და ოზურგეთის რაიონული პროკურატურების სამოქმედო ტერიტორიებით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ივლისის №129 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

თეა წულუკიანი

